

Image not found or type unknown

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აცხადებს ტენდერს ვიდეო რგოლის მომზადებაზე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აცხადებს ტენდერს შემდეგი თემატიკის ვიდეო რგოლის მომზადებაზე:

1. ქალებისთვის საკუთრების შეზღუდული უფლების პრობლემატიკაზე
2. ვიდეო რგოლი უნდა ასახავდეს, ქალთა საკუთრების უფლებებზე, საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპებს.
3. ასევე ვიდეო რგოლი უნდა ემსახურებოდეს, ქალთა ქონებრივი უფლებების დამცავი მექანიზმების შესახებ, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას.

პირობები:

- გამარჯვებულმა კომპანიამ უნდა დაამზადოს ვიდეო რგოლი.
- რგოლი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და აკმაყოფილებდეს სატელევიზიო სოციალური რგოლისთვის განკუთვნილ სტანდარტებს (ხანგრძლივობა: მაქსიმუმ 30 წამი);
- რგოლი უნდა იყოს მზად 30 ივლისისთვის
- რგოლის დასამზადებლად შეირჩევა ერთი კომპანია;
- საია იტოვებს უფლებას შეცვალოს/დააკონკრეტოს თემატიკა და მონაწილეობა მიიღოს წარმოდგენილი სცენარის დაზუსტება/შეცვლაში.
- გადანყვეტილება იქნება მიღებული ფასის, ხარისხისა და შესრულების დროის მიხედვით.
- დაინტერესებულმა პირებმა/კომპანიებმა 2016 წლის 5 ივლისის (18:00 სთ.) ჩათვლით

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



უნდა წარმოადგინონ:

- ინფორმაცია კომპანიის გამოცდილების და მაღალი ხარისხის ვიდეო რგოლის მომზადებისთვის საჭირო ტექნიკური ბაზის შესახებ;
- შესრულებული სამუშაოს ბმულები;
- ამ განცხადებაში მითითებული თემის მიხედვით სატელევიზიო სოციალური რგოლის შესაქმნელად საჭირო ბიუჯეტი დღგ-ს ჩათვლით;
- ამ განცხადებებში მითითებული თემის მიხედვით, სოციალური რგოლის სავარაუდო სცენარი;
- ინფორმაცია ვიდეო რგოლის დამზადებისათვის საჭირო ვადების შესახებ.

განაცხადი უნდა გაიგზავნოს შემდეგ მისამართებზე: [pr@gyla.ge](mailto:pr@gyla.ge)

დამატებითი კითხვების შემთხვევაში, სამუშაო საათებში (10:00-18:00 ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით) დაგვიკავშირდით ნომერზე: 577 07 05 00 ლევან ქათამაძე.

დავუკავშირდებით მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს.